პოლიფუნქციური ი- ქართული ზმნის უღლებაში (გვარის კატეგორიისათვის)
Polyfunctional i- in Georgian Verb Conjugation (For category of voice)

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ზმნა, ი- მორფემა, პოლიფუნქციურობა, ნანომორფოსინტაქსი
Keywords: Georgian verb, i- morpheme, polyfunctionality, nanomorphosyntax

მოხსენებაში განხილულია ქართული ენის ზმნაში ი- პრეფიქსის ფუნქციები (1. ი- არის სათავისო ქვევის ნიშანი; 2. ი- არის სასხვისო ქცევის ნიშანი; 3. ი- არის ვნებითი გვარის ნიშანი) და ამ მარკერის მორფოსინტაქსური ფუნქცია ზმნის უღლების სისტემაში. ქართული ენის ნებისმიერ ზმნურ მორფოლოგიურ კატეგორიას განვიხილავ მორფოსინტაქსის თვაალსაზრისით. ამ კონტექსტში ყოველი მორფემა (ელემენტი) გაცილებით დიდია, ვიდრე მორფემა; მორფოსინტაქსის საკვანძო ელემენტი (მორფემა) არ არის მხოლოდ სიტყვა (ლექსიკური ერთეული), არც სიტყვები ან მორფემები, არამედ არის ფორმობრივ-შინაარსობრივი ერთობლიობა. ტრადიციული გაგებით, სინტაქსი არის ლექსიკური ერთეულების კოორდინაცია, სტრუქტურა, თანამიმდევრობა. რეალურად, ქართული მორფოლოგია და სინტაქსი ურთიერთგადაჯაჭვულია; მორფემის (მოცემულ შემთხვევაში - ი- მორფემის) ამ მიდგომით განხილვა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ მისი სტრუქტურა („ხეები“), რომელიც ფონოლოგიური და კონცეპტუალური ინფორმაციითაა დაწყვილებული: ი- არ არის მხოლოდ ფონემა, არამედ კონკრეტულ სტრუქტურაში ის შეიცავს კონცეპტუალურ ინფორმაციას და, შესაბამისად, ქმნის განსახავებულ სისტემა-სტრუქტურას (ი-წერ-ებ-ა ის; ვ-ი-წერ მე მას; მ-ი--წერ-ს ის მას მე); პოლიფუნქციური ი- ზმნაში გვევლინება მორფოლოგიურ კატეგორიათა (დინამიკა-სტატიკა, პირი, ვერსია, კაუზატივი, ტრანზიტიულობა, გვარი, რეფლექსივი, ინტროვერტულობა...) „ქმნადობის“ პროცესის დამადასტურებელი მინიმალურ ელემენტად (ფონემად), რომელიც ქმნის სტრუქტურას სხვადასხვა „ზომის“ სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით და ასევე ინახავს ინფორმაციას ფორმის იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული, მეორე სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ (მაგ., მყოფადი - ი-ცხოვრებ-ს ის < > აწმყო, სათავისო ქცევა - იცხოვრებს ის მას). როგორც ლექსიკური ერთეულები, ისინი ლექსიკონში ცალკ-ცალკეა წარმოდგენილი; ამ ერთულების სინტაქსური „კავშირი“ დაკავშირებულ აქტანტებთან არაიდენტურია.

მორფემა (ი-) გაცილებით დიდია, ვიდრე საზოგადოდ მორფემა. ის აგებს სხვადასხვა ზომის სისტემას: 1. ლექსიკურ ერთეულს (იბოლებს), 2. კონსტრუქციას (იბოლებს ის მას, იბოლებს ის), 3. განსაზღვრავს რამდენიმე მორფოლოგიურ და მოდალურ კატეგორიას. მორფემა ინახავს ინფორმაციას ამ კატეგორიათა ქმნადობის შესახებ ენის ისტორიაში. მოხსენებაში განხილულია მორფემა ***ი-*** გვარის კატეგორიის კონტექსტში. იკვეთება, რომ ქართულში (ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში) გვარის კატეგორიის გამოყოფა ხელოვნურია.

ლიტერატურა:

ნიკოლაიშვილი, მ. (2012). რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? „სპეკალი“, 5. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49

მელიქიშვილი, დ. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა, ლოგოს პრესი.

შანიძე, ა. (1953). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“

ჯორბენაძე, ბ. (1975). ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თსუ გამომცემლობა.

ჯორბენაძე, ბ. (1980). ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა.

ჯორბენაძე, ბ. (1983). ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თსუ გამომცემლობა.

The paper deals with the functions of the i-prefix in the Georgian verb and the morphosyntactic function of this marker in the verb conjugation system. I consider any verb morphological category of the Georgian language in the context of morphosyntax, where each morpheme (element) is much larger than the morpheme; A morphosyntactic key element (morpheme) is not just a word (lexical unit), nor words or morphemes, but is a form-content combination. In the traditional sense, syntax is the coordination, structure, and sequence of lexical items. In fact, Georgian morphology and syntax are intertwined; A morphosyntactic approach to the morpheme (in this case, i-morpheme) allows us to define the syntactic structure ("trees") of this morpheme, which is paired with phonological and conceptual information: Accordingly, it creates a distinct system-structure *(ი-წეh-ებ-ა ის i-tsereba is; ვ-ი-წეh მე მას v-i-tser me mas; მ-ი-წეh-ს ის მას* მე m-i-*tsers is mas me*); Discussing morphosyntax through a prism allows us to study a polyfunctional verb as a morphological category (dynamics-statics, person, version, causative, transitive, voice, reflexive, introvert ...) "Size" with different lexical units and also stores information about a different, second syntactic construction in the case of form identity (e.g., future - *ი-ცხოვhებ-ს ის icxovrebs is* < > present *იცხოვhებს ის მას icxovrebs is mas*). As lexical units, they are presented separately in the dictionary; The syntactic "connection" with the actants associated with these units is non-identical.

The morpheme (i-) is much larger than the morpheme - it bears a system of different sizes: 1. lexical unit (იბოლებს ibolebs), 2. construction *(იბოღებს ის მას ibolebs is mas, იბოღებს ის ibolebs is*), 3. defines several morphological and modal categories. The morpheme stores information about the creation of these categories in the history of the Georgian language. The paper discusses

the morpheme i- in the context of the voice category. I express the opinion that in Georgian (as well as in other Kartvelian languages) the separation of the category of voice is artificial.

References:

Nikolaishvili, M. (2012). Ra gansazrvravs zmnis konstruqciebs qartulshi? "Spekali" 5. [What defines verb constructions in Georgian?] http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49

Melikishvili, D. (2001). Qartuli zmnis urlebis sistema. [Conjugation system of Georgian verbs]. Logos presi.

Shanidze, A. (1953). Qartuli gramatikis saphuzvlebi, Morphologia, I. [Basics of Georgian Grammar, Morphology, I]. TSU Publishing.

Jorbenadze, B. (1975). Zmnis formata warmoebisa da fuqnciis sakitxebi qartulshi. [Issues of production and function of verb forms in Georgian]. TSU Publishing.

Jorbenadze, B. (1980). Qaetuli zmnis formobrivi da funqciuri analizis principebi. [Principles of Formal and Functional Analysis of Georgian Verbs, TSU Publishing.

Jorbenadze, B. (1983). Zmnis xmovanprefiqsuli warmoeba qartulshi. [Vowel prefix production in Georgian verb]. TSU Publishing.